

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი - საგანმანათლებლო სივრცეში ზოგადი ერთიანი ნორმების შესახებ

*სერგო სვანაძე – ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი, საქართველო*

Curriculum of Bachelor's Degree Program of Business Administration - about General Unified Standards in Education System *Sergo Svanadze - PhD in Economics, Head of the Business Administration Department, Associated Professor; Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

Abstract

Introduction and aim: The analysis of the current Bachelor's degree programs of Business Administration, their generalization and development of the proposals for their improvement.

Development of the proposals on the basis of the structure of the current programs, modules (concentrations) and the analysis of their practical realization.

Research methodology: The methodological basis of the research is the general-scientific method as well as the analytical method. Analysis and synthesis, data comparison, systemic -logical, normative - legislative and other approaches have been applied in the research. The methodological basis is created by the fundamental definitions and provisions, legislation and regulations, methodical instructions and orders, published public information and scientific papers.

Results and implications: This is one of the recent attempts to study, analyze and generalize the curriculum of the programs existing in the education system.

Observations and recommendations will contribute to the improvement of the existing Bachelor's degree programs and their further development, unification to the acceptable level and enhancement of professional qualification in this respect.

Conclusion : Discussing the issues of the design of the curriculum of feasible Bachelor's degree programs makes it possible to determine the activities and propositions for their further improvement in order to ensure the preparation of highly qualified personnel.

Keywords: Bachelor's degree program, modules (concentration), educational, program

შესავალი

ერთ სტატიაში (მოხსენებაში) ვერ ჩაეტევა იმ პრობლემების ჩამოთვლაც კი, რაც არის განათლების სისტემაში, კერძოდ უმაღლესი განათლების სისტემაში, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მცირე ნაწილს შევეხებით, რომელიც კონფერენციის თემატიკასთან მოდის შეხებაში. რათქმუნდა თავისუფლად შეიძლება აღნიშნული ნაშრომის წარმოდგენა „მკაცრად სამეცნიერო“ სტილში დაინტერესებულ პირთათვის განსახილველად და განსჯისათვის, მაგრამ ვფიქრობ საკითხის არსიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რისი გადმოცემაც და სადისკუსიოდ გამოტანა მინდა, უპირიანი იქნება ნაშრომი სამეცნიერო-პუბლიცისტური ხასიათის იყოს.

მთელ რიგ მომენტებთან, საკითხებთან მიმართებაში აღნიშნული ნაშრომის ფორმატი არ იძლევა სრულად გაიხსნას და აიხსნას ცალკეული საკითხი ან/და დაერთოს მასალა შესაბამისი დანართის სახით, ამიტომ აქ მხოლოდ ძირითად საკვანძო საკითხებზეა მსჯელობა და დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი მასალის წარმოდგენა.

ამონარიდები საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტებიდან:

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაშრომის სამიზნე ჯგუფი საკმაოდაა გარკვეული საგანმანათლებლო სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიულ დოკუმენტაციაში (აქტებში), შესაძლებლად ჩაითვალა აქ მოკლე ამონარიდები იქნას წარმოდგენილი ცალკეულ ნორმებთან დაკავშირებით კერძოდ:

- I. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი
- **უმაღლესი განათლება** - სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლებაა, რომელიც *უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიცირებული კადრების მომზადებას*, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით [თავი 1, მუხლი 2, პუნქტი „3¹⁵“]
 - **ბაკალავრიატი**-უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური-ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის, ან ისეთი პროფესიის ასათვისებლად, რომელიც სტუდენტისაგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალ საწყის მომზადებას მოითხოვს [თავი 1, მუხლი 2, პუნქტი „ნ“]
 - **მაგისტრატურა**-უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური; ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას [თავი 1, მუხლი 2, პუნქტი „წ“]
 - **„საგანმანათლებლო პროგრამა**-სასწავლო კურსების ერთობლიობაა, რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული. [თავი 1, მუხლი 2, პუნქტი „3⁵“]
 - **აკადემიური ხარისხი**-ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას. [თავი 1, მუხლი 1, პუნქტი „ვ“]

❖ „მუხლი 7; უფლებამოსილება უმაღლესი გათლების სფეროში:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

- ა) ატარებს ერთიან პოლიტიკას უმაღლესი განათლების სფეროში
- ბ) შეიმუშავებს უმაღლესი განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს
- ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულებას,...
- ნ) ამტკიცებს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალს,...

❖ მუხლი 71. პროგრამული აკრედიტაცია

1. პროგრამული აკრედიტაცია ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის შესაბამისობას შემდეგ კრიტერიუმებთან:

- ა) სასწავლო მიზნებისა და ამოცანების შერჩევის დამაჯერებლობა, პროგრამის შესაბამისობა მათთან და მისი აგების პრინციპები
- ბ) სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

II. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

1. ... უმაღლესი განათლების ყოველი საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგის მიღწევას [დანართი 3-ის მუხლი 3-ის პუნქტი 3]

ზემოაღნიშნულის შემდეგ განსჯისათვის წარმოვადგენთ ძირითად შინაარსს:

თუ ერთიანი გადასახედიდან შევისწავლით, განვიხილავთ ცალკეული უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადად-ძირითადად მიტნაკლებად ერთი და იგივე მდგომარეობა იკვეთება, მაგრამ აქ მხოლოდ „ბიზნესის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამები გვაქვს მხედველობაში.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამები უმაღლესი განათლების სისტემაში ერთ-ერთ პრესტიჟულ და მოთხოვად მიმართულებად, კვალიფიკაციად ითვლება, სადაც აბიტურიენტთა შემოდინება საკმაოდ მაღალია და ამასთან უმეტესი უმაღლესი სასწავლებლის (გარდა სპეციალური პროფილისა) მნიშვნელოვან ფინანსურ ნაკადს, შემოდინებას უზრუნველყოფს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამების მიზნების, ამოცანების და კურიკულუმების, სასწავლო გეგმების გაცნობა-შესწავლა-შედარებით რჩება შთაბეჭდილება, რომ უპირანი იქნება გამოვიყენოთ გამონათქვამი „ყველა გზა რომში მიდის“, ვინაიდან ყველა პროგრამის მიხედვით პრაქტიკულად დეკლარირებულია ერთი და იგივე შედეგზე გასვლა და მაღალკვალიფიციური ბაკალავრის ჩამოყალიბების პრეტენზია ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით, მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ და გავანალიზებთ სასწავლო კურსების კონფიგურაცია-კურიკულუმებს, შეიძლება გაგვახსენდეს ფრაზა ცნობილი ნაწარმოებიდან და გამონათქვამის პერეფრაზირებით შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა-ხომ არ ვატყვილებთ სტუდენტს, მშობელს, ქვეყანას, ვიტყვილებთ თავს და“.

შეიძლება საკმაოდ მძიმედ და ტენდენციურად მოგვეჩვენოს ერთი შეხედვით ზემოთთქმული, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნაშრომის ფორმატი არ იძლევა საშუალებას თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგინოთ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენდნენ ზემოთხსენებულ განსხვავებულობას, მაგრამ ამის ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თავისუფლად შეუძლია.

რათქმაუნდა ერთფეროვნება და მკაცრი და სრული უნიფიცირება, რეგლამინტირება არაა მისაღები, მითუმეტეს ჩვენთვის არცთუ შორეული წარსულიდან საკმაოდ ცნობილი და გავლილია ასეთი მიდგომები და მისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრის გათვალისწინებისა (მხედველობაში მიღებით) ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გამოდგება ცნობილი პრინციპი, დევიზი - „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“. პირიქით ზედმეტი თავისუფლება და თვითშემოქმედება ანარქიის და ქაოტური პროცესების პოტენციურ (თუ რეალურ) საფრთხეს შეიცავს-არასისტემური მართვა სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, „აქილევსის ქუსლია“, ლიბერალური ღირებულებების მხოლოდ დეკლარირებით და მისი არასრული აღქმა. გაგებით ყოველივე თავისუფალის და ინდივიდუალურის გამართლება არა მგონია მთლად გამართლებული იყოს და ამასთან ზოგადად არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ყოველთვის აქამდე, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ახალი ადამიანის შექმნის, აღზრდის ექსპერიმენტები მარცხით დამთავრდა.

არ შეიძლება და არც გამოვა სრული იდენტიფიცირება, ცენტრალიზაცია საგანმანათლებლო პროგრამების, მაგრამ უნდა იყოს განსაზღვრული ძირითადი ჩონჩხი-ბირთვი სასწავლო კურსებისა (საგნებისა) და/ან თემებისა, რომელიც სავალდებულოა შესაბამისი პროფესიული და უმაღლესი კვალიფიკაციის მისაღებად, კერძოდ 60-70 %, ხოლო დანარჩენი 30-40 % - უმაღლესმა სასწავლებლებმა თავიანთი შეხედულებით და სტრატეგიის გათვალისწინებით უნდას შეავსონ და კონკურენცია (ჯანსაღი) უმაღლეს სასწავლებლებს შორის უნდა წავიდეს აკადემიური პერსონალის დონის ამაღლების, სწავლის პროცესის სრულყოფა-გამდიერების და მთლიანად სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე და შესაბამისი პრესტიჟის მოპოვებაზე და აღნიშნულის საფუძველზე კონტინგენტის მოზიდვაზე.

უმაღლეს სასწავლებლებს შორის ჯანსაღი კონკურენცია სულ სხვა სიბრტყეზე უნდა იქნას გადატანილი, გაშლილი, რომელიც საბოლოო ჯამში მაღალკვალიფიციური უმაღლესი განათლების მქონე კადრების მომზადებით იქნება გამართლებული და პრესტიჟულობის განმსაზღვრელი ფაქტორები

განპირობებული იქნება თაბარ პირობებში კონკურენციულ გარემოში საქმიანობის განხორციელების უნართ:ესაა სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზება,აკადემიური და პედაგოგიური პერონალის მაღალი კვალიფიკაციის უზრუნველყოფა,ადაპტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად,პრაქტიკასთან და ბაზრის მოთხოვნებთან მიახლოებული სასწავლო პროცესის გაძლიერება და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს სრულყოფილი,დახვეწილი სასწავლო გეგმების,კურიკულუმის დამუშავებამ და სახელმძღვანელო დოკუმენტად წარმოდგენამ,ვინაიდან პროგრამის მიზანი,სწავლის შედეგები იდენტურია.

საგანმანათლებლო პროგრამების და ამ შემთხვევაში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტი რათქმუნდა დამუშავებული უნდა იქნას მაღალკვალიფიციური სამეცნიერო,პედაგოგიური და გამოცდილი კადრების,სპეციალისტების მიერ და ამ კუთხით პოლიტიკის განმსაზღვრელი,წარმმართველი ვინ უნდა იყოს თუ არა განათლების სამინისტრო და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ცალკეული შემადგენელი კომპონენტების განშლა თვალსაჩინოებისათვის და განსჯისათვისათვის შემდეგი სახით,ფორმით გვესახება:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის კომპონენტები			
N	დასახელება	კრედიტების ოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4
1	საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები	30-40	
2	პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები	110-120	
3	პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი კონცენტრაციები(მოდულები)	20-30	
4	<i>სულ</i>	180	
5	MINOR პროგრამა	60	
6	<i>სულ ჯამი</i>	240	

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის თვალსაჩინო ვარიანტი შეიძლება განსჯისათვის იქნას წარმოდგენილი,რაც ზოგადად ერთიან ჩარჩოში მოაცევს ამ სპეციალობაზე სწავლების პროცესს და ამის საილუსტრაციო ნიმუში წარმოგვიდგება შემდეგი სახით.ამჟამად ორ ვარიანტს,მოდელს წარმოვადგენთ,რომელიც თავისუფლად შეიძლება სამუშაო ბაზად იქნას აღებული მისი შემდგომი სრულყოფა-დახვეწის გათვალისწინებით.

სასწავლო გეგმა- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

#	კურსის დასახელება	კრედიტი	ვარიანტი		შენიშვნა
			ა	ბ	
I. საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები					
1.1	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	-	
1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	X	X	
1.3	უცხო ენა 1	5	X	X	
1.4	მათემატიკა ეკონომისტებისათვის	5	X	X	
1.5	უცხო ენა 2	5	X	X	
1.6	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
1.7	უცხო ენა 3	5	X	X	
1.8	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	-	
	სულ		40	30	
II. Major პროგრამა - მათ შორის:					
Major პროგრამის ძირითადი,სავალდებულო სასწავლო კურსები					
2.1	ეკონომიკის პრინციპები/ეკონომიკური თეორია/ეკონომიკის საფუძვლები	5	X	X	
2.2	ბიზნესის საფუძვლები	5	X	X	
2.3	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
2.4	მენეჯმენტის საფუძვლები	5	X	X	
2.5	ფინანსები,ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5	X	X	
2.6	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	5	X	X	
2.7	ფინანსური აღრიცხვა	5	X	X	
2.8	მარკეტინგის საფუძვლები	5	X	X	
2.9	სტატისტიკის თეორია	5	X	X	
2.10	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	X	X	
2.11	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
2.12	საგადასახადო საქმე	5	X	X	
2.13	სადაზღვევო საქმე	5	X	X	
2.14	ეკონომიკური ანალიზი	5	X	X	
2.15	ბიზნესის ადმინისტრირება	5	X	X	
2.16	ინვესტირების საფუძვლები	5	X	X	
2.17	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
2.18	საბანკო საქმე	5	X	X	
2.19	სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და ოპერირება	5	X	X	
2.20	მარკეტინგული კვლევების საფუძვლები	5	X	X	
2.21	კორპორაციათა ფინანსები	5	X	X	
2.22	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
2.23	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	-	
	სულ		115	110	
Major პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი კონცენტრაციები,მოდულები					
ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე					

3.1.1	ბიუჯეტი	5	X	X	
3.1.2	ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები	5	X	X	
3.1.3	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
3.1.4	საერთაშორისო ფინანსები	5	X	X	
3.1.5	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	
მენეჯმენტი					
3.2.1	ინოვაციური მენეჯმენტი	5	X	X	
3.2.2	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
3.2.3	რისკ-მენეჯმენტი	5	X	X	
3.2.4	საერთაშორისო ბიზნესი	5	X	X	
3.2.5	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	
მარკეტინგი					
3.3.1	მომსახურების მარკეტინგი	5	X	X	
3.3.2	მომხმარებელთა ქცევა	5	X	X	
3.3.3	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
3.3.4	საერთაშორისო მარკეტინგი	5	X	X	
3.3.5	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	
საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი					
3.4.1	ზოგადი აუდიტი	5	X	X	
3.4.2	მმართველობითი აღრიცხვა	5	X	X	
3.4.3	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	X	X	
3.4.4	კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები	5	X	X	
3.4.5	პროფესიული პრაქტიკა	5	X	X	
სულ			25	25	
III. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები, საგნები					
4.1	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	-	X	<i>ოდენობა უნდა იყოს გონივრულ ფარგლებში, საიდანაც სტუდენტი აითვისებს 15 კრედიტს. საგნები ორგანულ ბმაში უნდა იყოს კვალიფიკაცია ციასთან</i>
4.2	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	-	X	
4.3	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	-	X	
4.4	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	-	X	
4.5	უნივერსიტეტის განსასაზღვრი	5	-	X	
სულ			0	15	
ჯამი			180	180	
IV. MINOR პროგრამა					
5.1-12	<i>სულ</i>		60	60	
სულ ჯამი			240	240	

წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციის დამუშავება და საუკეთესოზე შეთანხმების პირობაზე მისი სამოქმედო,სახელმძღვანელო ბაზად გახდომა,ამასთან რათქმაუნდა მნიშვნელოვანია განსაზღვრული იქნას სასწავლო მასალა ან თემების მიხედვით და მისი შემდგომ შესაბამის სასავლო კურსებში განივთება ან საწყისად აღებული იქნას სასწავლო კურსები პირდაპირ,მათი შინაარსის,შესასწავლი თემატიკის ძირითადი ნაწილის მითითებით,თუმცა ამ დროს სავარაუდოდ საჭირო გახდება სასწავლო კურსის ე.წ. სხვადასხვა კატეგორიის განსაზღვრა,პირობითად ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამით შესასწავლი სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლები“ და საჯარო მმართველობის პროგრამაზე ან საიჟინრო-ტენიკური პროფილის თუ პედაგოგიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე წაკითხვადი სასწავლო კურსი იდენტური მოცულობის და თემატიკით ერთნაირი იყოს? ანდა იგივე „ეკონომიკის პრონციპები“ ეკონომიკის პროგრამაზე(გაღმავებული კურსი) და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე აუცილებელია ერთი და იგივე ანუ იდენტური იყოს,ანალოგიურად მიკრო და მაკრო ეკონომიკის სასწავლო კურსები და ა. შ.

კარგი იქნებოდა როგორც მოდულური პროფესიული პროგრამების მაგალითზე საერთოდ მოდულები შექმნილიყო და მოიხსნებოდა რიგი საკითხი ამით,ოღონდ ეს უნდა შეიმნას კოლექტიური შრომით შესაბამისი მიმართულების მაღალკვალიფიციური პროფესიონალების,აკადემიური პერსონალის მიერ არსებული რეალიების გათვალისწინებით და პროფესიული პროგრამებზე მოდულებთან მიმართებაში არსებული ხარვეზების(რომელიც ცალკე განხილვის და დისკუსიის საკითხია) გათვალისწინებით.

აქვე წამოიჭრება შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი საბაკალავრო პროგრამებთან მიმართებაში. თუ ძირითადი კვალიფიკაციის მისაღებად საკმარის ოდენობათ განსაზღვრულია 120 კრედიტი,ამის გარდა ზოგადი საუნივერსიტეტო განათლებისა და ცოდნის მისაღებად(რაც რათქმაუნდა სწორია) გარკვეული კრედიტების (30-50) დამატების შედეგად ვღებულობთ არაუმეტეს 180 კრედიტის,რისთვისაც სრულიად საკმარისია სამწლიანი სასწავლო პერიოდი და რა აუცილებლობით არის განპირობებული 4 წლიანი სწავლება,განსაკუთრებით მაშინ როცა ზემდგომი საფეხურზე სწავლებისათვის სტუდენტი არ იცვლის მიმართულებას (ანუ მაგალითად აგრძელებს სწავლას ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და მას უნდა ამ კონკრეტულ მიმართულებაზე იყოს კონცენტრირებული). ამასთან მაგისტრატურაზე მიღების დღევანდელი ფორმა რბილად რომ ვთქვათ არასწორია,როცა ზოგადი უნარების გამოცდები საკმარისია და შემდეგ უმაღლესი სასწავლებლები თავად საზღვრავენ მიღების პირობებს,კრიტერიუმებს და აქ თუ გავითვალისწინებთ კონკურენციას სტუდენტთა მოზიდვის საკითხში,ამკარად თავისთავად მივდივართ კრიტერიუმების დაბლა დაწევამდე და ზოგადად ქვეყანა რას იგებს აქედან, ასევე სტუდენტიც,გარდა იმისა რომ კიდევ ერთ დიპლომი ექნება.ხოლო ის პრინციპი,რომ მაგისტრატურაში წარმატებული სწავლისათვის საჭიროა შესაბამისი მიმართულების, კვალიფიკაციის საბაზისო ცოდნა,მიღებული ბაკალავრიატის შესაბამისი (იდენტური ან მსგავსი) საგანმანათლებლო პროგრამაზე და როცა ამ საკითხების დარეგულირება-გადაწყვეტას უნივერსიტეტებს ვანდოთ(არსებული კონკურენციული მომენტების გათვალისწინებით),ვერ გვექნება შედეგი ან პროგრამა არ უნდა იქნას აკრედიტებული შესაბამისი უფლებამოსილი უწყების მიერ,მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიზეზით რომელიმე პროგრამის დაბლოკვა ან შეჩერებაზე რაიმე ინფორმაცია არ მოიპოვება.არადა იმ პოსტულატის გათვალისწინებით,რომ ბაკალავრიატის დონესთან შედარებით მაგისტრატურა არის შესაბამის სპეციალობაში „უფრო სიმაღლეზე ასვლა და სიღმეში შესვლა“ და კვლევითი კომპეტენციების და ანალიტიკური უნარების განვითარება,რამდენად ადეკვატურია როცა მაგალითად ტექნიკური,გინდ საბუნებისმეტყველო,გინდ საინჟინრო,გინდ აგრარული და ა.შ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამადამთავრებული სტუდენტი სწავლას გააგრძელებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და პირიქით,მაშინ როცა სასწავლო გეგმები ბაკალავრიატის დონეზე აბსოლუტურად ან მნიშვნელოვნად განსხვავებულია და ის რასაც 3-4 წელიწადი სწავლობდა სტუდენტი-სასწავლებლები ერთი გამოცდით ან გასაუბრებით ან სამოტივაციო წერილით,განაცხადით ღებულობს გადაწყვეტილებას.ამ საკითხის გამოსწორება-დარეგულირებას ცალკე აღებული ნებისმიერი სასწავლებელი ვერ და არ შეეჭიდება,ვინაიდან „თამაშის წესები“ არ არის სწორად განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ და აღნიშნული საკითხები ვინ უნდა დაარეგულიროს თუ არა ორგანომ,რომელიც პოლიტიკის განმსაზღვრელია ამ სფეროში ან მისმა შესაბამისმა საუქვეუწყებო დაწესებულებამ.

ამ მდგომარეობის გამო მიღებული შედეგის საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი მომენტიც: რეალურად სწავლის(მოსწრების) გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების ცალკეული ფაქტებია და თუ ასე

კარგად ვასწავლით და სწავლობენ, მაშინ რატომ არის პრეტენზიები კვალიფიციური (და არა დიპლომირებული, რომელიც საკმაოზე, საჭიროზე ბევრად მეტია ეროვნული მეურნეობის ყველა მიმართულებაზე) კადრების დეფიციტზე.

ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როცა ძირითადი სპეციალობისათვის საჭიროა, საკმარისია 120 კრედიტი და ასევე შემდეგ ზოგად საუნივერსიტეტო განათლებისათვის გარკვეული კრედიტების ოდენობა გაითვალისწინება - ამის შემდეგ ე. წ. „თავისუფალი კრედიტების“ ჩასმა არ მიმაჩნია პრინციპულად გამართლებულად. ასეთი ცოდნა, თუ სტუდენტს ამის სურვილი და მოთხოვნილება გაუჩნდება, მას შეუძლია აიღოს დამატებით ან/და ტრეინინგ მოდულების ფარგლებში, ხოლო კურიკულუმში ის სასწავლო კურსები უნდა ჩაიდოს, რაც სტუდენტს გაიყვანს გარკვეულ, შესაბამის კომპეტენციამდე სპეციალობაში. მათ შორის შესაძლებელია, ამის ფარგლებში არჩევითი კურსების შეთავაზება (და არა თავისუფალი), ხოლო იმისათვის თუ არის როგორც აღნიშნული, ასევე MINOR პროგრამები (შესაბამისი 60 კრედიტით), რომ 240 კრედიტი შეივსოს, არა მგონია ეს გამართლებული იყოს ან საერთო ოდენობის ამხელა მოცულობა არ არის აუცილებელი კონკრეტული კვალიფიკაციის ასათვისებლად, რისთვისაც სტუდენტი შემოვიდა შესაბამის პროგრამაზე და სტუდენტს დამატებით ვახარჯვინებთ დროს და ფინანსებს (როგორც საკუთარს - როცა თავად აფინანსებს საკუთარ სწავლას, ისე განსაკუთრებით აქტუალურად მეჩვენება სახელმწიფო დაფინანსების სტუდენტების საკითხი ანუ ვხარჯავთ სახელმწიფო თანხებს), ეს კი სულ სხვა პრობლემაა, სხვა შეფასებით.....

ასევე, შეიძლება ითქვას რომ „ზედმეტი ლიბერალიზმის და თავისუფალშემოქმედებითობის“ შედეგია ალბათ ის მომენტები, რაც აღინიშნება დღევანდელი რეალობიდან, რომ სხვადასხვა სასწავლებლებს ესა თუ ის სასწავლო კურსი ზოგს ბაკალავრის დონეზე აქვს ჩასმული, როცა სხვა სასწავლებელს იგივე სასწავლო კურსი მაგისტრატურაში აქვს და ამ დროს ორთავეს აქვს აკრედიტაცია გავლილი, ამაზე შეიძლება ითქვას „ნეტარ არიან მორწმუნენი...“.

აქ მხოლოდ მცირე ნაწილია ზოგადად წარმოჩენილი საკითხებისა, რომელიც საჭიროებს რეაგირებას და გადაწყვეტას საერთო სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ვინაიდან დღევანდელი გლობალიზაციის პროცესების და კონკურენციის გამძაფრების პირობებში განათლებული და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის გამართული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და ამ სისტემის ფარგლებში საქართველოს მომავალი თაობის აღზრდა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი, სავალდებულო და უაღრესად საპასუხისმგებლო საკითხია მომავალი თაობებისა და საქართველოს წინაშე.

აღნიშნულ ნაშრომს არა აქვს პრეტენზია რომ მიღებული და გაზიარებული იქნას უაპელაციოდ, მაგრამ სისტემაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რომ იგი (არსებული ფორმით სისტემის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება) აუცილებლად საჭიროებს სრულყოფა-დახვეწას უალტერნატივოა და ამ კუთხით საკითხის ადგილიდან დაძვრისათვის წინამდებარე ნაშრომიც არის გათვალისწინებული.

გამოყენებული წყაროები:

- [1] კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. თბ. 2004.
- [2] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ. თბ. 2010.
- [3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანება N99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. თბ. 2010.
- [4] აღნიშნულ სფეროში საქმიანობის გამოცდილება და ანალიზი...

